აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №10

აბაშა, 2019 წლის 3 ივნისი

ᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ
ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲠᲘᲒᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲡ
ᲝᲥᲛᲘ №10-ᲡᲐ

ᲐᲑᲐᲨᲐ, 2019 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

1. „აბაშის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების, საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ”.

მომხს: შ დარცმელიძე

ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ
ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ: Გ. ᲮᲣᲠᲪᲘᲚᲐᲕᲐ

# ოქმი №10

## აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომისა

აბაშა, 2019 წლის 3 ივნისი

სხდომას ესწრებოდნენ: გელა ხოშტარია, ტატიანა ხოშტარია, ზაზა გაბელაია, ირაკლი ჭანტურია, გოდერძი კუპრავა, კონსტანტინე კუჭუხიძე, გია კუცია, ავთანდილ გუნია, ბაქარი შელია, ლეონტი ნადარეიშვილი, ბაჩუკი ქვილითაია, იაგო თოდუა, რევაზი ჩაჩავა, გია მიგინეიშვილი, ელვარდი ნოდია, გიორგი კაჭარავა, კახა ცანავა.

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის უფროსი შ. დარცმელიძე.

საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი- აპარატის უფროსი გ. ხურცილავა და საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი- იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი ნ. კუპრეიშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გ. ხოშტარია.

## დღის წესრიგი:

1. „აბაშის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების, საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ".

მომხს: შ დარცმელიძე

კენჭი ეყარა დღის წესრიგს. კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.
მომხრე 17
წინააღმდეგი 0

1

მოისმინეს:

„აბაშის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების, საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ".

მომხს: შ დარცმელიძე

მომხსენებელმა შ. დარცმელიძემ სხდომის მონაწილეებს გააცნო „აბაშის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების, საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ" განკარგულების პროექტი.

მომხსენებელს კითხვით მიმართეს დეპუტატებმა: ა. გუნიამ, ე. ნოდიამ, გ. კაჭარავამ.

აზრი გამოთქვეს: გ. ხოშტარიამ

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე გ. კუციამ წაიკითხა განკარგულების პროექტი „აბაშის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების, საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ".

კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს „აბაშის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების, საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ".

განკარგულების პროექტს მხარი დაუჭირა საკრებულოს 17-მა წევრმა.

წინააღმდეგი: 0

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

განკარგულება №40 (თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს წევრმა-კეთილარის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა ბაქარ შელიამ გააკეთა განცხადება სოფ. კეთილარში მდინარე რიონზე სოფელთან დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობასთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ კეთილარში სოფელთან დამაკავშირებელი ხიდი ამორტიზებულია, ავარიულ მდგომარეობაშია, გათვალისწინებულია ახალი ხიდის მშენებლობა იმავე ადგილას. მოსახლეობა ითხოვს ხიდის აშენებას სოფელთან ახლოს, რაც შეამცირებს მანძილს რაიონის ცენტრსა და სოფელს შორის.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი: გ. ხოშტარია